პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 20 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

186 (884) | 1 და 2 ქართული მშრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24. განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ახალი ძალები სოფელს.

დღითი დღე აძლიერებს კომუნისტური პარტია თავის ყურადღებას სოფლისადმი. მთელი მისი ძალა და ენერგია მიმართულია იმისკენ, რათა სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ხელისუფლების აპარატი სოფელში, აამაღლოს სოფლის მეურნეობა, სოფლის კულტურული დონე და ყოველ მხრივ გააუმჯობესოს გლეხობის მატერიალური მდგომარეობა.

ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება სოფლად ნაყოფიერი მუშაობისა არის ის, რომ სოფელში არ მოიპოვება გამოცდილ და მომზადებულ პასუხისმგებელ მუშაკების სათანადო კადრი. ეს დიდი ნაკლია ჩვენ სინამდვილეში. მაგრამ პარტიამ აქაც ნახა გამოსავალი. შემოდგომაზე ის სოფელში აგზავნის რამოდენიმე ასს მომზადებულ კომუნისტს. ამ მიმართულებით უკვე დაიწყო სათანადო მუშაობა. ჩვენი პარტია დაინტერესებულია, რათა სოფელში წავიდენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც სავსებით გამოიყენებენ თავის ცოდნას, შესძლებენ სოფლის პირობებში გარკვევას და ამ პირობების ჯეროვანი გათვალისწინებით სწრაფი ნაბიჯით წარმართავენ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას წინ.

ამიტომაც სოფლად გასაგზავნი ამხანაგების შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ამ მხრივ აღებულია ნებაყოფილობის ხაზი.

ერთი სიტყვით პარტია ყოველგვარ ზომებს ხმარობს შემოდგომაზე სოფელს მიაწოდოს სამრეწველო რაიონებიდან გამოცდილი და ენერგიული მუშაკები.

შეცდომაა ის აზრი თითქოს ეს გადაგზავნილი ამხანაგები დაიკავებენ სოფლად ამ ჟამად მომუშავე კომუნისტების ადგილებს. სრულიადაც არა. პირიქით ამ მომზადებულ ამხანაგებს პარტია იმიტომ გზავნის, რომ აქ ადგილზე ისინმა მოამზადონ ადგილობრივი მუშაკები, წაუძღვნენ მათ ყოველ დღიურ მუშაობაში და თავის მომზადებასა და გამოცდილების მათთვის გაზიარებით ხელი შეუწყონ დასახულ ამოცანების ნაყოფიერად განხორციელებას.

ამრიგად პარტია მომზადებული მუშაკების ახალ კადრს აგზავნის ადგილებზე მომუშავე პარტიულ ამხანაგების დასახმარებლად და მათი მოსამზადებლად.

ასეთი გზით სოფლად მუშაობის საქმე სწრაფი ნაბიჯით წავა წინ.

პარტიას მხნედ უნდა ამოუდგეს გვერდში ჩვენი უვადო შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელი, და ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყოს მას მის საპასუხისმგებლო მუშაობაში. მხოლოდ ასეთი ენერგიული დახმარებით და მხარის დაჭერით როგორც შვებულებისა, ისე გლეხთა მასების მხრივ პარტია შესძლებს სოფლის მეურნეობის აყვავებას და ახალი სოციალისტური სოფლის შექმნას.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 184 მოწინავეში გაგვეპარა კორექტურული შეცდომა. თავიდან მეხუთე სვეტში სწერია: **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არის ერთად ერთი და სხ.**

**უნდა იყოს:** სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არის **ერთ ერთი და სხვა.**

## ახალი რადიო-ამბები

### ჩინეთის ამბები.

#### ხვრეტა და დაპატიმრება ტიან-ცზინში.

დაპატიმრებულთა რიცხვი 440 კაცამდი აღწევს.

ტიან-ცზინში დაპატიმრებულთა რიცხვი 440-მდი ადის. შიშობენ, რომ კომუნისტობაში შემჩნეული 12 ბელადი, დახვრეტილი უნდა იყოს.

ფაბრიკების პატრონება მიმართეს შეიარაღებულ ძალებს დაიცვან საგაფიცვო მოძრაობიდან. გენერალ ლი-ჩჟინ-ლინმა აღუთქვა მისცეს თითო ფაბრიკას 80-80 ჯარისკაცი.

პეკინის გაზეთი „მინბაო“ ეხება ტიან-ცზინში მომხდარ მკვლელობას და სწერს: „ცხადია, რომ ჩინეთის ეროვნული მოძრაობა, რომელიც იბრძვის უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, შეეტაკა ინგლის-იაპონიის კაპიტალის დაქირავებულ მკვლელებს ჩინეთის რეაქციონერ გენერლების სახით“.

#### ფოსტის მოსამსახურეთა გაფიცვები შანხაიში.

17 აგვისტოს შანხაიში გაიფიცა 2.000 მეტი შანხაის ფოსტის მოსამსახურე, რომლებმაც წარადგინეს ეკონომიურ მოთხოვნილებათა მთელი რიგი, მათ შორის სამსახურში უცხოელთა მიღების შეწყვეტა 1926 წლიდან.

ფოსტის შენობას იცავენ ინგლისის მეზღვაურები და ჩინეთის პოლიციის აგენტები. ადგილი ჰქონდა რამოდენიმე შეტაკებას.

#### სამოქალაქო პანაშვიდი პეკინში.

პეკინის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 16 აგვისტოს მოაწყვეს მასიური საპროტესტო მიტინგი დახვრეტის წინააღმდეგ და გადაიხადეს სამოქალაქო პანაშვიდი დახოცილთა სახსოვრად. დამსწრენი ენერგიულ პროტესტს აცხადებდენ მილიტარისტების ვერაგობის წინააღმდეგ. მიტინგმა აირჩია დელეგაცია მთავრობასთან გასაგზავნად სხვა და სხვა მოთხოვნილებათა წარსადგენად.

### „მეგობრები“ შეთანხმდენ.



ნახ. საფრანგეთის ცნობილ კარიკატ. დორსოსი.

ჩემბერლენი — ბრიანი

#### შანხაის პროფსაბჭო იწვევს საერთაშორისო მუშათა დელეგაციას.

შანხაის პროფსაბჭომ გაუგზავნა საერთაშორისო მუშათა დახმარების საზოგადოებას ბერლინში დეპეშა, რომელშიაც მადლობას უცხადებს კონგრესის „ხელი შორს ჩინეთისაგან“ მოწვევისთვის.

პროფსაბჭო იწვევს ჩინეთში მუშათა საერთაშორისო დელეგაციას საქმის სინამდვილის გამოსარკვევად.

#### ემზადებიან საბჭოთა მფრინავების შესახვედრად.

შანხაის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ემზადებიან საბჭოთა მფრინავების შესახვედრად, რომლებსაც მიელიან იქ ახლო მომავალში.

#### იაპონიის ნოტა.

იაპონიის რწმუნებულმა იოშიზავამ გაუგზავნა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნოტა, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ტიან-ცზინში მომხდარ ამბების წინააღმდეგ და მოითხოვს იაპონიაზე მიყენებულ ზარალისა და სახიჩრობის ანაზღაურებას.

## ქართული კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის უკანასკნელი დღეები.

ქართულ კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის გახრწნა და რღვევა კარგი ხანია დაიწყო. კონტრრევოლიუციის მორევში კისრამდე ჩაფლული მენშევიკური და სხვა დემოკრატიული პარტიების გარდახვეწილი ნაფლეთები, ბუნებრივად აღსასრულის გზას დაადგენ.

ამ ემიგრაციის მუშური ნაწილი და აგრეთვე ის ელემენტები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩათ სინდისი და საღი აზროვნების უნარი, ჩამოშორდენ ქართულ თეთრგვარდიელებს და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ნიადაგზე დადგენ. მეორე ნაწილი,—ემიგრაციის ზედაფენა კი განაგრძობს თავდაღმართისკენ სვლას. მათი ახალი გზაა ფაშიზმი. ტერორითა და საზოგადოთ ფაშისტური მეთოდების გზით ისინი ფიქრობენ შეაჩერონ ქართული კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის რღვევა. ძალით, მუქარით, დამონებით, ცემით და დაბოლოს მკვლელობის საშუალებითაც ისინი სცდილობენ არსებობის შენარჩუნებას, როგორც პოლიტიკური ძალა.

პარიზიდან მოსული რადიო იუწყება, რომ ქართველი ფაშისტები, კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის ნაძირალები თავს დაესხნენ იმ ემიგრანტების დამფუძნებელ კრებას, რომლებიც დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე. ფაშისტებმა გამორეკეს დარბაზიდან კრების ყველა მონაწილენი და კიდევაც სცემეს ზოგიერთებს. ეს უკვე პირველი შემთხვევა არ არის.

ასეთ გამოსვლებს ბევრჯერ ქონდა ადგილი. ბატონ რამიშვილებს და ჟორდანიებს ჰგონიათ, რომ ამით ისინი ხელს შეუშლიან ემიგრაციის შემდეგ ხრწნას და დაშლას. ტყუილი იმედებია. ძალით და მუქარით ისინი ვერრას გახდებიან.

თითეული მათი ასეთი ფაშისტური თავდასხმა კიდევ უფრო დააჩქარებს გზააბნეულთა გამოფხიზლებას.

ვერავითარი ფაშისტური ტერორი და საფრანგეთის იმპერიალიზმის მეგობრული დახმარება ქართულ თეთრგვარდიელთა ემიგრაციას ვერ უშველის. ის უკვე შეიპყრო სიკვდილის ციებ-ცხელებამ და არსებობის უკანასკნელ საათებს განიცდის.

და რაც ხანმოკლე იქნება ეს სიკვდილის პროცესი მით უკეთესია.

დასასრულ ჩვენი უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ არმიელები მოვალენი არიან ფართედ აუწერონ თავის მეზობლებს და სოფლელებს ქართული კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის გახრწნისა და საბოლოო გათახსირების ეს სურათი. შვებულმა უნდა მოუთხროს მშრომელ გლეხს იმის შესახებ, თუ როგორი სამარცხვინო პოლიტიკური სიკვდილით კვდება ის ხალხი, რომლებიც ერთ დროს თამაშობდენ ქართველი ხალხის სისხლით და უხვად ღვრიდენ მას ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების საკეთილდღეოთ.

შვებულო—წითელ არმიელო! არ დაგავიწყდეს ამის მოყოლა გლეხებისათვის!

დეე! ნუ დარჩება საქართველოში ნურც ერთი მშრომელი გლეხი, რომელსაც არ სცოდნოდეს ქართული კონტრრევოლიუციონური ემიგრაციის გათახსირებისა და სამარცხვინო აღსასრულის შესახებ.

—ე.

## საბჭოთა ფეიქრები ინგლისში.

საბჭოთა ფეიქართა დელეგატები აცხადებენ, რომ ისინი ძალიან კმაყოფილი არიან ლანკაშირში (ინგლისში) მათი მიღებით.

ზოგიერთი ეკონომიური ორგანო ამბობს, რომ სართავ სამრეწველოების აქციების კურსი გამოკეთდა საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლითო.

## მუშათა რაზმი.

ინგლისის სამთო-მადნო მუშათა ფედერაციის მდივანმა კუკმა მიიღო მუქარის წერილები ფაშისტებისაგან. მემაღაროებმა შეადგინეს მუშათა რაზმი მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

## ჰავასის სააგენტო უარყოფს.

ჰავასის სააგენტო უარყოფს ინგლისის წყაროებიდან გამოსულ ცნობებს ბედუინებისა (არაბთა ტომები) და ბეირუტში მყოფ სენეგალის რაზმის აჯანყების შესახებ.

# საბჭოთა კავშირში

## უცხოელ მასწავლებელთა დელეგაცია მოსკოვში.

დელეგაციამ დაათვალიერა რამოდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულება, რის შემდეგ ერთმა დელეგატთაგანმა განაცხადა: „რომ შევადაროდ ტეხნიკურად ჩამორჩენილი რუსეთი ევროპას, პირდაპირ აღფრთოვანებაში მოგიყვანს ის დიდი ნაბიჯი, რომელიც გადაუდგამს მას ყოველ დარგში. დასავლეთი ევროპა კულტურის მხრივ მკვდარი მუზეუმია, ხოლო აქ კი ცხოვრება სდუღს“.

დელეგაცია გაეცნო აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებს, კლუბებსა და საავადმყოფოებს.



დელეგაციის თავმჯდომარე
**გენრი ვან-დენ-ხეველ**
ბელგიის სოც.-დემ. პარტიის წევრი.
ხატვის მასწავლებელი.

## ლეგიონის სკოლების კურსანტთა მომავალი გამოშვება.

არმიის სარდლობას მიცემული აქვს განკარგულება 25 აგვისტოსთვის ჩაატაროს ლეგიონის სკოლების კურსანტების გამოშვება, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ მომავალ მანევრებში, როგორც უმცროს მეთაურებმა.

დღემდის ლეგიონის სკოლების მთელი მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ კურსანტებს ასწავლიდენ იმ სამხედრო და პოლიტიკურ დისციპლინებს, რომლებთანაც მომავალ უმცროს მეთაურებს მოუხდებათ საქმე სკოლიდან გამოსვლის შემდეგ.

მომავალი მანევრები მდიდარ გარემოებას ჰქმნიან ლეგიონის სკოლებიდან ახლად გამოშვებულ მეთაურთათვის.

გამოშვებისთანავე ყველა, უმცროს მეთაურის წოდების ღირსი პირები გაგზავნილი იქნებიან ასეულებში ათეულის უფროსების შტატის თანამდებობაზე, და ამ თანამდებობაზევე იმუშავებენ მანევრების დროს.

აი აქ თვითეული კურსანტი შეხვდება იმ გარემოებას, რომლის შესახებაც მას გაუგონია თავის მასწავლებელ მეთაურთაგან ლეგიონის სკოლაში.

რომ მომავალი მეთაურთა ყურადღება მივაქციოთ პირველ ხანებში მათ მძიმე მუშაობას, მანევრებზე, საჭიროა გამოშვებამდი დარჩენილი დრო გამოვიყენოთ იმ მოვალეობათა და სხვა და სხვა დავალებათა ასრულების საშვალებათა ახსნისთვის, რომლებიც მათ შეხვდებათ გამოშვებისთანავე მანევრებზე.

ლეგიონის სკოლების მეთაურთა და პოლიტიკურმა შემადგენლობამ ამას უნდა გაუწიოს ანგარიში და ეცადოს მისცეს თავის მოწაფეებს ყველაფერი აუცილებელი საჭირო მომავალ მანევრებისათვის.

ბარ.

## მენშევიკ ფაშისტების თავხედობა პარიზში.

### თავდასხმა საბჭოთა მოქალაქეთა კრებაზე.

5 აგვისტოს კაფე „ვოლტერ“-ში პარიზში გაიმართა საზოგადოება „ახალი საქართველოს“ დამფუძნებელი კრება; საზ—ში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა საქართველოს მოქალაქენი და ის პირები, რომელთაც სურთ მიიღონ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეობა.

კრებას, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა 20 კაცი, თავს დაესხა 40 შეიარაღებული ქართველი კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციების წევრი. თავდამსხმელებმა ქუჩაში გამოჰყარეს შეკრებილები და და დაუწყეს ცემა ქალებსაცკი. პოლიციამ დააპატიმრა 16 კაცი.

თავდამსხმელთა შორის იყვენ საფრანგეთის ჯარში მყოფი ქართველი ოფიცრები, საფ. რომლებიც პარიზში ჩავიდენ პოლიციის აგენტები, ჩოლოყაშვილის ბანდის წევრები, შარშანდელ აჯანყების შემდეგ და სხვა.

პარიზის პოლიციამ წინადადება მისცა საქართველოს წარმომადგენელს საბჭოთა ხელოვნების პავილიონში მიწიშვილს დასტოვოს საფრანგეთი, ვინაიდან ის იყო კრების ორგანიზატორი.

საფრანგეთის ბურჟუაზიული და რუს კონტრრევოლიუციონური გაზეთები მხარს უჭერენ თავდამსხმელებსა და ეწევიან კამპანიას საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ.

მომხდარი თავდასხმა მოამზადეს ქართველ ემიგრანტულ გაზეთების „ბრძოლას“ და „სამშობლოს“ აგიტატორებმა.

## ემზადე მანევრებისათვის.

### წესრიგი მანევრებზე.

მანევრებზე თითეულ მეომარს ეძლევა ამაო ვაზნების განსაზღვრული რაოდენობა და ლაშქრობისთვისა და საბრძოლო ცხოვრებისთვის დაწესებული პროდუქტების, თეთრეულის მარაგი და სხვა.

ეს ამაო ვაზნები მეომარმა უნდა დახარჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს საჭირო იქნება გარემოების მიხედვით (შეტევის, ზვერვის დროს, მტერთან შეტაკების, დარაჯობის დროსა და სხვა).

მტერთან შეხვედრის დროს მეომარს უნდა ახსოვდეს რომ სროლა თუნდაც ამაო ვაზნებით ორმოცდა ათ ნაბიჯზე უფრო ახლო არ შეიძლება. არტილერისტები სწყვეტენ სროლას ზარბაზნებიდან (ამაო. ყუმბარებით) 200 მეტრის მანძილზე (300 ნაბიჯზე). ეს საჭიროა უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლათ. თუ რომ ბრძოლის მსვლელობისდა მიხედვით საჭირო იქნება ხიშტზე გადასვლა და ხელით სატყორცნ გრანატებით მოქმედება, ქვეითი ნაწილები უნდა გაჩერდენ 10 მეტრის მანძილზე მტრის პოზიციამდი.

ცხენოსანი ნაწილი ჩერდება 75 მეტრის მანძილზე.

ამას გარდა მანევრის თვითეულ მონაწილეს უნდა ახსოვდეს, რომ შეხვედრილ კერძო პირებს უშვებენ დაუბრკოლებლივ, ხოლო სამხედრო პირებს, როგორც მანევრების მონაწილეებს, ისე დამსწრეებს, აჩერებენ და მიჰყავთ თავის უახლოეს უფროსთან, რომელიც არკვევს დაკავებულის პიროვნებას, და თუ რომ ეეჭვება, აგზავნის მას თავის უფროსთან.

მსაჯულების მიერ მწყობრიდან გამოყვანილი მეთაურთა შემადგენლობის პირები ან მთელი გუნდები გაიყვანებიან განზე ან რეზერვში და შეუერთდებიან თავიანთ ნაწილებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნაჩვენები იქნება მსაჯულის მიერ.

მზვერავებსა და თარეშებს არ აქვთ უფლება ერთმანეთი ტყვეთ ჩაიგდონ. საკითხს თუ ვინ რომელი დაამარცხა, სწყვეტენ მსაჯულები.

ამას გარდა მებრძოლს უნდა ახსოვდეს, რომ სანგარის ამოთხრა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს ზიანს არ მოუტანს მოსახლეობას, არ იწვევს განსაკუთრებულ ხარჯებს ხაზინიდან (ტყე, ტომრები და სხვა მასალები), თუ რომ ასეთი ხარჯები არ იყო გათვალისწინებული წინასწარ. ზოგიერთ შემთხვევებში მოგვიხდება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ სანგრების თხრის დაწყებით.

ი. ბარ.

## პოლიტიკური მუშაობა მანევრებზე.

პოლიტიკური მუშობა უნდა სწარმოებდეს ყოველ გარემოებაში, როგორშიაც კი არ უნდა იყვეს წითელ არმიელი. მანევრებზე, როგორც მეტად საპასუხისმგებლო გამოცდებზე, პოლიტიკური მუშაობა დაყენებულ უნდა იქნას იმდენად ფართედ, რომ ის შეიცავდეს სულ ყველაფერს თვით წვრილმანამდი.

მეომარს შეიძლება დაებადოს საკითხი: რაში უნდა გამოიხატებოდეს პოლიტიკური მუშაობა წითელ არმიელთა შორის მანევრებზე? მეომრები თითქმის მუდამ იქნებიან დატვირთული პირდაპირი მუშაობით როგორიცაა დარაჯობა, ლაშქრული წესით მოძრაობა, მტერთან ბრძოლა, დადევნება უკან დახეულ მტერზე და სხვა.

ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა არ იქნება ძნელი, თუ მოვიგონებთ, რომ ჯარები მანევრების დროს ახლო დამოკიდებულებაში იქნებიან მოსახლეობასთან, რომელიც მოითხოვს თვითეული მეომრის, მეთაურისა და პოლიტმომუშავისაგან ბევრ ცოდნას სოფლის საკითხების გადასაჭრელად. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გვიკარნახებს პოლიტიკური მუშაობის წარმოებას მანევრებზე ეს არის თვით მანევრები, სადაც უნდა აეხსნას მეომარს თვით მანევრების მნიშვნელობა, მისი (მეომრის) ამოცანა ამ მანევრებზე და დავალებათა მტკიცედ ასრულების მნიშვნელობა.

პოლიტმომუშავეთათვის მთავარი მომენტი მუშაობაში—ეს არის კავშირის განმტკიცება მეთაურთა, პოლიტიკურ შემადგენლობასა და წითელ არმიელთა შორის.

პოლიტიკურ მუშაობის ფორმები მანევრებზე, რასაკვირველია, არ იქნება ისეთი, როგორც ყაზარმასა და ბანაკში.

აქ იშვიათად მოუყრი თავს ასეულის ან ოცეულის ყველა მეომრებს და ჩაატარებ მათთან პოლიტ-საათს. ამიტომ პოლიტ-მუშაობის სახე იქნება პოლიტსაუბარი, რომელიც იწარმოებს ყოველ თავისუფალ დროს.

მაგალ. მეომრებმა შეისვენეს გადასვლის დროს. პოლიტშემადგენლობა და მეთაურები მაშინვე იწყებენ საუბარს წითელ არმიელებთან იმ საკითხებზე, რომლებიც წამოჭრილი იქნა ამ ლაშქრული წესით გადასვლის გამო ან წამოიჭრებიან მომავალ დაბანაკებასთან დაკავშირებით დასახულ მოსახლეობიან წერტზე.

საუბარში უმთავრესი საკითხები იქნებიან: მეომრის მოქცევა მანევრებზე და დამოკიდებულება მოსახლეობასთან (თავის უფროსების განკარგულებათა მტკიცედ ასრულება და მოსახლეობაზე ზარალის მიყენების დაუშვებლობა).

წითელი არმის, როგორც ჩაგრულთა მცველის მნიშვნელობის ახსნა გლეხებს შორის რჩევით დახმარება სასოფლო-სამეურნეო, სასამართლო, ანტირელიგიურ და სხვა საკითხებში (ანტირელიგიური საკითხი მეტად დიდი სიფრთხილით უნდა იქნას დაყენებული მოსახლეობის წინაშე, არ უნდა იქნას დაშვებული დაცინებითი ახსნა და მორწმუნეებზე დაცინვა).

ი. ბარ.

## მეთოდიური სემინარები პირველ ქარ. მსრ. დივიზიაში და მისი მომავალი.

ყველასათვის აშკარაა ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლება წითელ არმიის პოლიტიკურ—კულტურულ გათვითცნობიერებისათვის ხარჯავს აუარებელ ენერგიას, დიდძალ მატერიალურ საშუალებებს.

წითელ არმიაში პოლიტიკურ—კულტურულ მუშაობის სერიოზულ ხასიათმა და მისმა განვითარებამ მომუშავეებში წამოჭრა მთელი რიგი პედაგოგიური და მეთოდიური საკითხების გადაჭრის აუცილებლობა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო პოლიტ-მომუშავეები გრძნობდენ მეთოდიური მომზადების საჭიროებას:—ფუჭია და უნაყოფო სწავლება მეთოდიური მიდგომის გარეშე;—ამ მტკივნეული ამოძახილი წითელ არმიელთა შორის პოლიტ-საგანმანათლებლო მომუშავეებისა.

ამ გარემოებამ პოლიტ-მომუშავეები დააყენა ახალ მეთოდების ძიების გზაზე.

იქმნა გადასინჯული და გამოყენებული ბავშვთათვის მიღებული თანამედროვე პედაგოგიურ—მეთოდიური მიღწევები და შეგუებული იქმნა ის ბევრის ახალის დამატებებით მოზრდილთა ფსიქოლოგიურ—გონებრივ თვისებებთან.

ამრიგად ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წამოყენებული ამოცანა:—შევიტანოთ პოლიტ—კულტურული განვითარება მასაში,—აყენებს პედაგოგიურ—მეთოდიურ დარგში ახალ ამოცანას:—შევისწავლოთ თუ როგორ უნდა გადავსცეთ ცოდნა მოზრდილ ადამიანს.—ე. ი. საჭირო შეიქნა განსაკუთრებული სწავლების მეთოდების გამომუშავება მოზრდილთათვის.

პირველ ქარ. მსრ. დივიზიის ნაწილებში მომუშავე ამხანაგები ან ძალიან ნაკლები პედაგოგიური მომზადების იყვნენ, ან და სულ სხვა და სხვანაირი შეხედულებების—ახალ პედაგოგიურ-მეთოდიურ საკითხებზე.

ეს გარემოება ქმნიდა ნაწილობრივ არევ-დარეულ, ყალბი და უსაფუძვლო მეთოდით მიდგომას წითელ არმიელებთან.

ჯგუფების სიმრავლისა და მომზადებული პედაგოგიური პერსონალის სიმცირის გამო, ინიშნებოდნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც არ ჰქონდათ გათვალისწინებული ახალი მეთოდები და სწავლებას აწარმოებდნენ პრიმიტიული წესით. ნაწილს ჯგუფის ხელმძღვანელებისას თავისებურად ესმოდი ეს მეთოდები და ჰქონდა ადგილი სწავლებისადმი ინდივიდუალური მეთოდით მიდგომას.

ასეთი არასასურველი გარემოება დღითი დღე იწვევდა ამხანაგებში გამოხმაურებას და თანდათან იქმნებოდა პირობები მეთოდიური სემინარების მოწყობისათვის.

ა. წ. 7 აგვისტოდან გაიხსნ დივიზიის პოლიტგანის ხელმძღვანელობით ერთ თვიანი მეთოდიური სემინარები. უნდა ითქვას, რომ მეცადინეობის მსვლელობა თავისი ცხოველი შინაარსით დიდათ საინტერესო და დამაკმაყოფილებელია.

აქ მიდის მთელი რიგი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საუბრები და ეწყობა საცდელ-საჩვენებელი გაკვეთილები.

მუშავდება ორწლიანი პროგრამა, არის მოხსენებები: წერა-კითხვის სწავლების მეთოდზე, გადაცემის კომპლექსიურ სისტემაზე და მასში შემავალ ცალკე დისციპლინების მეთოდიკებზე.

მთავარი დამახასიათებელი თვისება ჩვენი სემინარული მუშაობისა,—აუდიტორიის აქტივობაა. ყოველგვარი სადაო საკითხები საერთო გამოძახილს პოულობს და კოლექტიურად მუშავდება.

ის მეთოდიური კითხვები, რომლებიც აწუხებდნენ ნაწილებში მომუშავე ამხანაგებს, გამოტანილ იქმნა მზის სინათლეზე და თითქმის მთელი აუდიტორიის ჩაბმით, შესაფერისად—გადაწყვეტილი.

ამრიგად ასეთი მუშაობა პირდაპირ მალამოა ჩვენი მტკივნეული ადგილების მოსარჩენად. მიმდინარე მეთოდიური სემინარების საქმიანი მუშაობა დიდ პერსპექტივებს იძლევა.

აქედან პოლიტ-კულტურულ დარგში მომუშავე ამხანაგები მიიღებენ საკმაო პედაგოგიურ მეთოდიურ მომზადებას, და როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნით გამდიდრებული დაუბრუნდებიან ნაწილებს.

ოლიფანტე ლაბარტყავა.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## მისალმების დეპეშა.

მეორე დივიზიის მეთაურს.

№-ის ასეულის ცვალებადელებთა მეორე კონფერენცია გესალმებათ და მზად არიან პირველ დაძახილზე გამოცხადდენ, როგორც ერთი კაცი.

იაშვილი, ბალიაშვილი.

## ლოზუნგები ტერ-შეკრებისათვის.

1. მუშებო და გლეხებო! საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის დასაცავად საჭიროა ძლევა-მოსილი სამხედრო ძალა. თქვენი მოვალეობაა ხელი შეუწყოთ მის გამაგრებას.

2. რათა მცირე დროს დაკარგვით და ნაკლები ხარჯით უზრუნველვჰყოთ საბჭოთა სოციალისტური რესპ. კავშირი იმპერიალისტურ მტაცებელთა თავდასხმისაგან, ამისათვის საჭიროა განვამტკიცოთ ტერიტორიალური სისტემა.

3. ტერ-არმიელო, წითელი არმია შენ გიწვევს ერთი თვით, რომ შეიძინო სამხედრო და პოლიტცოდნა.

4. ტერ-სისტემა მცირე ვადით აცილებს მოქალაქეს სამეურნეო შრომას.

5. ცვალებადელნო, მხნეთ გაეშურეთ წითელი არმიის რიგებისაკენ. იცოდეთ რომ თქვენზე ზრუნავს ჩვენი რესპუბლიკების ყველა მშრომელი.

6. მუშებო და გლეხებო! ჩვენი რესპუბლიკების მშვიდობიანობა მოითხოვს თქვენგან, რომ თოფის ხმარება იცოდეთ ისე, როგორც სახნისის და ჩაქუჩის.

7. ცვალებადელნო, ისწრაფეთ წითელ ყაზარმისაკენ ცოდნის შესაძენათ.

8. მხურვალე სალამი საქართველოს ტერ-არმიელებს.

9. ტერ-ნაწილების ფოლადისებური რიგები აიძულებენ იმპერიალისტებს ანგარიში გაუწიონ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებს.

10. ჩაქუჩი, თოფი და თოხი მშრომელთა ხელშიათ თავდებია ჩვენი საბოლოვო გამარჯვებისა.

11. ტერ-ნაწილების მოწყობით შიშის ზარს დავსცემთ მსოფლიო ბურჟუაზიას.

12. თოფი რომ არ დავივიწყოთ,
უნდა ერთ თვეს ჯარში ვიყოთ.

13. ტერ-არმიელო, გახსოვდეს, რომ ყაზარმაში გელიან:

წითელი დროშა, მაშხანა, მეთაურ-პოლიტხელია.

## განაკის ცხოვრება და მუშაობა

### სალამი ახალ მეთაურებს.

1-ლი ლეგიონი.

15 აგვისტოს ჩვენს ლეგიონში მოვიდნენ ახლად კურს დამთავრებულნი წითელი მეთაურნი. მათ მოსვლას დიდის ალტაცებით შეხვდენ წითელ-არმიელები. ახალი მეთაურები მოსვლისთანავე შეუდგენ ლეგიონის ყოფა-ცხოვრების გაცნობას. მათ მჭიდრო და ნამდვილი ამხანაგური კავშირი გააბეს წითელ-არმიელებსა და უფპოლიტშემადგენლობის შორის. წითელი მეთაურები დიდის ენერგიით აწარმოვებენ წითელ-არმიელებთან მეცადინეობას.

ვუსურვებთ ახალ მეთაურებს სრულ გამარჯვებას თავიანთ მოვალეობის ასრულების საქმეში.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

### შვებული წითელ-არმიელის ხმა.

პირველი ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის წითელ არმიელთა უმრავლესობას გვიწევს უვადო შვებულებაში წასვლა.

ჩვენ, წითელ არმიელებმა პირნათლად შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე, სამხედრო სამსახურის დამთავრებით.

წითელი ყაზარმა ჩვენთვის იყო წითელი სკოლა. ჩვენ აქ შევისწავლეთ როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური და საგანმანათლებლო საქმე. აქ ჩვენ გავეცანით მუშებისა და გლეხების მდგომარეობას და შევისწავლეთ თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ სოფლად უვადო შვებულებაში დაბრუნების შემდეგ.

ჩვენთან ეხლა სწარმოებს გაცხოველებული სჯა-ბაასი სოფლად მუშაობის საკითხის გარშემო. ყველა ჩვენთაგანი მოწადინებულია ფართო გეგმებით დაბრუნდენ თავთავიანთ სოფლებში და შეიტანონ იქ განათლება და სხ.

ჩვენ ერთი წუთითაც არ გავსწყვეტთ კავშირს ჩვენი ნაწილის წითელ ყაზარმასთან. პრესის საშუალებით გავაშუქებთ ხშირად ჩვენ-ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრებას.

ჩვენ მუდამ ხელს შეუწყობთ და გავსწევთ სათანადო პროპაგანდას წითელი არმიის სასარგებლოთ, რომ ყველა ახალგაზრდამ შეგნებულად მოიხადოს თავიანთი ვალი—სამხედრო ბეგარა, მუშურ-გლეხური მთავრობის წინაშე.

ამასთანავე ერთად ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით რაიმე საჭიროების რ[illegible]ს ჩავდგეთ წითელი არმიის რიგებში.

გაუმარჯოს ჩვენს აღმზრდელ წითელ ყაზარმას!

გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებლებს და უფ—პოლიტშემადგენლობას!

ახკორი ი. ზუმბაძე.

### დროზე გამოასწორეთ ეს ნაკლი.

პირველი ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის მეხუთე ასეულში დაარსებულ და ჩამოყალიბებულ იქნა სხვა და სხვა, დამხმარე საზოგადოებები, რომლების მუშაობა ამ ბოლო დროს ძლიერ მისუსტდა.

ქიმიის მეგობართა საზოგადოების დაარსების დროს წითელ არმიელები დიდის ხალისით ჩაეწერენ მასში წევრებათ, გადაიხადეს საწევრო გადასახადები და უცდიდენ საწევრო წიგნაკების მიღებას. ასეთები მიღებულ იქნა მხოლოთ ნაწილი. წითელ არმიელთა უმრავლესობა დარჩენილია უწიგნაკოთ.

ასევე მოხდა რემედასის და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებების დაარსების დროს.

წითელ არმიელებმა ყველამ სურვილი განაცხადა გამხდარიყო ამ საზოგადოებების წევრი, გადიხადეს საწევრო გადასახადები და ამ შემთხვევაშიდაც ვერ ველირსეთ საწევრო წიგნაკების მიღებას.

ჩვენი ასეულის წითელ არმიელთა უმრავლესობას უწევს უვადო შვებულებაში წასვლა ამ რამოდენიმე თვის შემდეგ. უწიგნაკოთ წასვლა კი არ იქნება კარგი, რადგან ჩვენ უამისოთ ვერ ჩავირიცხებით სათანადო საზოგადოებებში ჩვენ-ჩვენ სოფლებში.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება ვისაც ეს ეხებათ და დროზე დაგვირიგონ წიგნაკები.

სამხკორი წ. არმ. ნ. ჯავახია.

### მეთაურთა სასადილო.

მე-6 ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის უფპოლიტშემადგენლობა სასადილოს მხრივ გაჭივრებას განიცდიდა.

თუ იყო სადილო, ასეთი რომ არ ყოფილიყო ის სჯობდა.

ეხლა სასადილო უკვე გამოკეთდა. სადილი მზადდება ნოყიერი და ორი ბლუდით ღირს 33 კაპ. სისუფთავე სასადილოში დაცულია. დარიგება თავის დროზე სწარმოებს. მეთაურთა შემადგენლობა ყოველმხრივ კმაყოფილია სასადილოთი, რისთვისაც მადლობის ღირსია ამხ. ბერიაშვილი, რომელიც არ ზოგავს თავის ძალღონეს სასადილოს გაუმჯობესებისათვის. დილაობით გვაქვს ჩაიც.

აღსანიშნავია მხოლოთ ერთი ნაკლი სასადილოს მოქმედებიდან. სასადილოს ყავს სპეციალური კომისია. კომისიის თავმჯდომარე ზის სასადილოში ყოველ სადილობის დროს, რომელიც თავისი ხმამაღალი ლაპარაკით და ჩხუბით აბეზრებს თავს მოსადილეთ.

რა საჭიროა ის ამხანაგი, რომ ყოველ სადილობის დროს იქ ზის და ჩხუბობს? სრულებით არ არის იმისი ჯდომა და სხუბი საჭირო, ვინაიდან სასადილოს ყავს განმანაწილებელი ამხ. ბერიაშვილი, რომელიც თავის დროზე ყველაფერს აკეთებს. ინიშნავს ვინ სადილობს, განკარგულებას აძლევს მოსამსახურეთ წესიერი მოქმედებისათვის და სხვა.

აი, როცა ეს ნაკლი გამოსწორდება ჩვენი ნაწილის მთელი შემადგენლობა სასადილოთი ყოველ მარივ კმაყოფილი იქნება.

კარგი იქნებაამის შემდეგ მაინც გაჩუმდებოდეს ის ამხანაგი.

სამხკორი ცუდღრისპირელი.

### სამხედრო წრეები ტრამვაის მუშებში.

მე-6 ტერ ლეგიონი.

ლეგიონის კლუბის გამგეობას ქონდა მიზნად მოეწყო სამხედრო კუთხე „ჩოდრიშვილის და კეცხოველის“ სახელობის ტრამვაის მუშათა კლუბში. ეს კიდევაც მოაწყო. ჩამოაყალიბა ორი წრე. გამოყო წრეების სამეცადინოთ ორი მეთაური. წრეებში ტრამვაის მუშებია. პირველი წრე არის ქართული და 15-წევრია, მეორე—რუსული 15 წევრით. პირველი მეცადინეობა ჩატარდა 13 აგვისტოს. პირველად მოეწყო წრეების გაერთიანებული მეცადინეობა, ვინაიდან ქართულ წრის წევრებმაც ყველამ იცოდა რუსული ენა, მოხსენება გააკეთა ამხ. ცინცაძემ რუსულ ენაზე „ტერსისტემის მნიშვნელობა და მისი პრინციპიალური მხარეები.“ მომხსენებელმა ფართედ გააშუქა ტერსისტემის ძირითადი მცნებები, აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს მას და სხ.

მოხსენებით დიდათ კმაყოფილი დარჩენ მუშები. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რასაც მომხსენებლის მიერ გაეცა სათანადო პასუხი.

წრის მეცადინეობას დაესწრენ წრის წევრების გარდა სხვა მუშებიც, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მუშებმა გვთხოვეს წრეთა რიცხვის გადიდება, ვინაიდან წრეში ჩაწერის მსურველები მუშებში ბევრია. წრები მომავალში იმეცადინებენ კვირაში ორჯერ ორ-ორი საათით ცალ-ცალკე. წრეებში მეცადინეობა იწარმოებს, როგორც თეორიულადა, ისე პრაქტიკულად.

წრეების ხელმძღვანელებისათვის იმავე კლუბში დაარსებულ იქნა სამხედრო სექცია 5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა თვიური პროგრამების შედგენა და საერთო სამხედრო წრეების ხელმძღვანელობა.

იმედია წრეების საქმიანობა იქნება დაყენებული თავის სიმაღლეზე.

სამხკორი ე-ლი.

### პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა ჩვენთან.

მეორე არტ-ლეგიონი.

ჩვენი ნაწილის ცვალებად შემადგენლობასთან ყოველგვარი მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად.

ცვალებადელები ბეჯითად უსმენენ და კარგათაც ითვისებენ ყოველივე გადმოცემულს.

ლეგიონში უკვე დაარსებულია და დამკვრელი წესით აწარმოებს მუშაობას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები წერა-კითხვის უცოდინარ ტერარმიელთათვის. ასეთი სკოლები გახსნილია აგრეთვე მცირე მცოდნეთათვისაც.

სკოლებში ტერ-არმიელები დაუზარებლათ მეცადინეობენ და ცდილობენ რაც შეიძლება მალე შეისწავლონ წერა-კითხვა სამშობლო ენაზე.

დიდ დახმარებას გვიწევს აგრეთვე ჩვენი ნაწილის კლუბი პოლიტ-საგანმანათლებლო საქმეში. კლუბში მოიპოვება სხვა და სხვა წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და სხ., რომლითაც სარგებლობენ ტერ-არმიელები.

აქ იკითხება ხშირად ლექციები სხვა და სხვა თემაზე, მოხსენებები, იდგმება წარმოდგენები, იმართება სალიტერატურო სალამოები, გასამართლებები და სხ.

ამ უკანასკნელ ხანებში მოეწყო ეგ. ნინოშვილის ნაწარმოების „გოგია უიშვილის“ გასამართლება, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ტერ-არმიელთა მასაზე. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე კიდევ საქართველოს მუზეუმის დათვალიერებამ, რომელიც მოეწყო ამ წასულ დღეებში.

ერთი სიტყვით წითელი ყაზარმა ტერ-არმიელთათვის გადაქცეულია სკოლად.

ეხლა ჩვენ, ტერ-არმიელებმა უკვე ვიცით თუ რისთვის ვართ გამოწვეული წითელ არმიაში და ვინ არის მშრომელი ხალხის მტერი და მოყვარე.

ამიტომ ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით ფხიზლად ვიდგეთ ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე.

სამხკორი კვაჭაძე.

### ჩვენი საქმიანობა.

მე-6 ტერლეგიონი.

ჩვენი ნაწილის ტერარმიელები დიდი ინტერესით და ენერგიით ეკიდებიან ყოველგვარ საქმიანობას.

დილის 7 საათიდან 10 ს. ტარდება პოლიტსაათი, ამის შემდეგ კი სამხედრო მეცადინეობა.

თავიდანვე მთავარი ყურადღება ექცეოდა დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

ყოველ მეორე დღე რიგრიგობით ასეულები აწარმოებენ სროლას.

ჯერჯერობით სროლა კარგ შედეგებს იძლევა. ტერ-არმიელებს დიდათ აინტერესებთ სროლა. გაიგებენ თუ არა დღეს სროლაო, მათ სიხარულს საზღვარი არ აქვს.

მეთაურების მთელი ძალღონე დაჭიმულია. მეცადინეობის შემდეგ ხშირია მოვლენები, რომ მეთაურები ზიან ტერარმიელებთან და საუბრობენ მათთვის საჭირო საკითხებზე.

სანიტარული მდგომარეობა ლეგიონში ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

არის შემთხვევები, როდესაც წითელ-არმიელები საყვედურს აცხადებენ ფერშლებზე უდიერი ქცევისათვის.

საჭიროა უფროს ექიმმა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიაქციოს ფერშლების თავხედობას და ერთხელ და სამუდამოთ მოელოს ბოლო წითელ-არმიელთა უკმაყოფილებას მათდამი.

იმედია ტერ-არმიელების ასეთი ინტერესით და საქმიანი მუშაობით ჩვენი ლეგიონი გაამართლებს მათზე დამყარებულ იმედებს.

ამხ. ტერ-არმიელნო მომავალში კიდევ მეტი ენერგია, კიდევ მეტი საქმიანი მუშაობა დაგვჭირდება ვინაიდან 4 სექტემბრიდან ჩვენთან მოვლენ წითელ ყაზარმის შეუჩვეველი სტუმრები ტერ-არმიელები.

სამხკორი ე—ლი.

# პარტიული ცხოვრება.

## ახკომკავშირელთა შორის.

**პირველი ლეგიონის სკოლის ცხოვრებიდან.**

სკოლაში კომკავშირის მუშაობა ბანაკათ გასვლის შემდეგ რამდენიმედ შეფერხდა, რომლის მიზეზი იყო კომკავშირელთა განუწყვეტელი სამხედრო მეცადინეობა.

სკოლის ახკომკავშირის ჯგუფის ორგანიზატორმა ვერ გამონახა, ისეთი დრო, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მუშაობის წარმოება.

დღეს ყველა ეს ნაკლი დაძლეულია და მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს, რომლის დროს ყველა კომკავშირელი დებულობს აქტიურ მონაწილეობას.

პოლიტ-მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ, და გადიან ა. ლ. კ. ა. ისტორიას და პოლიტიკურ ანბანს. მეცადინეობის დროს არის მრავალი შეკითხვები გატარებულ საუბრის გარშემო, რაზედაც მომხსენებელი აძლევს სათანადო პასუხს.

კომკავშირის მუშაობაში ჩაბმული არიან უპარტიო წითელ არმიელებიც.

ვუსურვებთ ჩვენს ორგანიზატორს კიდევ უფრო გაღრმავებიოს მუშაობა და უფრო მეტი გათვითცნობიერება შეეტანოს ჩვენი ნაწილის ახალგაზრდობაში.

წ. არმიელი ა. დეისაძე.

## მეხუთე ლეგიონი ალღუმზე.

მეხუთე ლეგიონის პირველი ათასეული დიდ მზადებაშია.

13 აგვისტოს დილით მივდივართ ალღუმზე.

წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ აქვს. ყველანი დიდის ხალისით ემზადებიან წასასვლელად.

დილის სამი საათია. ისმის ბუკის ხმა. რამოდენიმე წუთის განმავლობაში მთელი ათასეული მზად არის. ლეგიონის სკოლა გაიგზავნა უფრო ადრე, რომ დაეკავებია ადგილი და გაემაგრებიათ ის.

განთიადია. მივდივართ მუსიკით და სიმღერით დანიშნულ ადგილისაკენ. მიუახლოვდით მტრის მიერ გამაგრებულ ადგილს.

ისმის ბრძანება:

— პირველი და მეორე ასეულები გაიშალენით შარში.

ბრძანება ელვის სისწრაფით სრულდება. გადავედით შეტევაზე. დიდი ბრძოლის შემდეგ სკოლის მიერ გამაგრებული ადგილი ავიღეთ და ბევრი მათგანი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

დღის თორმეტ საათზე დამთავრდა ალღუმი.

შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო.

სამხედრო რუსპირელი.

## მე-4 ლეგ. მე-2ათასეულის ცხოვრებიდან.

ქ. №-ში არის საზაფხულო კინო „ეთერი," რომელიც დიდ დახმარებას უწევს ჩვენი ათასეულის წითელ არმიელებს.

ჯეს ჯერობით წითელ არმიელებისთვის იქმნა გაშვებული ორი სურათი:

„წარსულის საშინელება" და „ტარიელ მკლავაძე." წითელ არმიელები ძალიან გახარებული არიან იმ სურათების ნახვით და წყევლა კრულვით იხსენიებენ ამ საშინელებას, რომელსაც ძე ლათ განიცდიდა მშრომელი ხალხი.

კინო „ეთერში" ჩვენი ათასეულის წითელ არმიელებისთვის იქნება ნაჩვენები ყველა ის სურათები, რომლებსაც კი გაუშვებს შემდეგში ზემოხსენებული კინო.

ამითი საშვალება მიეცემათ ჩვენს წითელ არმიელებს განავითარონ ჭკუა გონება.

ვუსურვებთ კინო „ეთერის" ხელმძღვანელებს რათა ხშირ ხშირათ აჩვენოს ახალ ახალი სურათები.

ნ. ლიახვისპირელი.

## ექსკურსია ზაჰესში.

კვირას, 16 აგვისტოს, მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილების თანამშრომლები და წითელ-არმიელები გავემგზავრეთ ექსკურსიაზე ზაჰესისაკენ.

ექსკურსანტები პირველათ ვესტუმრეთ ავჭალის წყალსადენს. აქ დაგვხვდა წყალსადენის გამგე ამხ. ნასიძე, რომელმაც დაწვრილებით აგვიხსნა თუ როგორ მუშაობს წყალსადენი და სხვა. ამხ. ნასიძის ახსნა-განმარტება მეტად საინტერესო აღმოჩნდა და ექსკურსანტები მას დიდის ყურადღებით უსმენდენ.

იქედან ექსკურსია გაემგზავრა ზემო ავჭალაში. აქ მორიგე ტეხნიკოსმა გვაჩვენა ყველა სამუშაოები და მოგვცა შესაფერი ახსნა-განმარტება.

საღამოს ნასიამოვნები ექსკურსანტები დავბრუნდით თბილისში.

მადლობის ღირსი არიან ექსკურსიის მომწყობნი. საჭიროა ასეთი ექსკურსიები ხშირათ ეწყობოდეს.

შ. ნაცვლიშვილი.

# ახალი ამბები.

— **ტფილისის მილიციის** უნცროს შემადგენლობის მოსამზადებლათ საბურთალოზე იხსნება ერთ თვიანი კურსები.

— **ვენახების განახლება.** მიმდინარე წლის განმავლობაში, მთელ საქართველოში განახლებულია 200 დესეტინა ვენახი.

— **„ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში".** საქართველოს რემედასის ცეკა ახლო ხანში გამოსცემს წიგნს „ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში".

— **ტყიბულის მაღაროებიდან** განზრახულია მომავალი 5 წლის განმავლობაში ამოღებული იქნას 33 მილიონი ფუთი ქვანახშირი.

— **ახალი მუზეუმი.** ფ. ტელეგ. სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს სახალხო კავშირის მუზეუმი.

— **უმუშევართა რიცხვი.** 1-ლი აგვისტოსათვის ტფილისში ითვლებოდა 8.952 უმუშევარი.

— **სათემო აღმასკომების** მუშაობის გაცხოველების მიზნით ტფ. აღმასკომმა დაადგინა ყველა თემაღმასკომებთან მიამაგრონ პასუხისმგებელი მუშაკნი.

— **თხილის დასამზადებლათ.** სას.-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ გასცა სესხათ ქუთაისის და ზუგდიდის გლეხებზე 20 ათასი მანეთი თხილის დასამზადებლათ.

— **ღვინის გასასაღებლათ.** ბათომის გლეხკომმა გაგზავნა ოდესაში გასასაღებლათ 700 ვედრო იმერული და სხვა ღვინოები.

## ამბები სოფლებიდან.

**გეგმიანი აღმშენებლობა სოფლად.**

ქარელის თემაღმასკომმა (გორის მაზრა) დაადგინა დაავალდებულონ გლეხები, რომ მათ სახლების აშენების დროს იხელმძღვანელონ აღმასკომის მიერ გამოშვებული გეგმით.

**სახალხო სახლი სოფლად.**

სოფ. ტოლაშ (რაჭის მაზრა) უკვე დაამთავრეს სახალხო სახლის აშენება. განზრახულია სახლხო სახალს მიაშენონ ბიბლიოთეკა—სამკითხველოსათვის შენობა.

**საფოსტო განყოფილების გასახსნელად.**

სოფ. გუჯარეთის თემაღმასკომმა სთხოვა გორის აღმასკომს აღძრას შუამდგომლობა ფ.-ტ. კომისარიატის წინაშე გუჯარეთში საფოსტო განყოფილების გახსნის შესახებ.

**სკოლის ასაგებათ.**

ძეგვის თემაღმასკომმა ითხოვა ნებართვა გორის აღმასკომის წინაშე, ძველი მარნის მასალების, ახალი სკოლის ასაშენებლათ გამოყენების შესახებ.

**ტელეფონის გაყვანა.**

განზრახულია გაყვანილ იქნეს ტელეფონის ხაზი ბორჯომიდან სოფ. მაჰარწყალში.

## პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** მე მყავს ავადმყოფი ცოლი და რვა თვის ბავშვი, რომლებიც საჭიროებენ საექიმო დახმარებას და წამლებს. გთხოვთ მიპასუხოთ, ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტით შემიძლია თუ არა მივიღო უფასოდ წამალი?

წითელ-არმიელი უტიაშვილი.

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა (კანონთა კოდექსი 198) „წითელ-არმიელებს უფლება აქვთ თავიანთ ავადმყოფი ოჯახის წევრები მოათავსონ საავადმყოფოებში, სამშობიარო ინსტიტუტებში და სხ. და პირველ რიგში მათ საექიმო დახმარება უნდა აღმოუჩინონ სამოქალაქო სამკურნალოებმა, ისე, როგორც დაზღვეულ მუშის და მოსამსახურის ოჯახებს". იმ შემთხვევაში, თუ რაიმე დაბრკოლება შეგვხდეთ წამლის გამოტანის დროს, მაშინ მიმართეთ აღმასკომს, რომელიც ვალდებულია ყოველგვარი დახმარება გაგიწიონ, როგორც წითელ-არმიელს.

**კ. ქ.— იას.** ძალით ოთახის დაკავების უფლება არ გქონდათ.

**კითხვა.** 1924 წ. სამი თვის განმავლობაში მე ვასრულებდი ლეგიონის „არტელშჩიკის" მოვალეობას, ჯამაგირს კი ვღებულობდი 35 კაპეიკს თვეში. გთხოვთ მიპასუხოთ, მერგებოდა თუ არა „არტელშჩიკის" ჯამაგირი?

წ. ა. ვ. მაღრაძე.

**პასუხი.** ყოველივე ფულის შესახებ აღძრული პრეტენზიები განიხილებიან ორი თვის განმავლობაში. თქვენ კი ერთი წლის შემდეგ აღგიძრავთ ეს საკითხი. დრო გასულია. არაფერი მოგეცემათ.

**კითხვა.** შემიძლია თუ არა სამსახურის დროს ან მის გათავების შემდეგ შევიდე სასწავლებელში, მაგ., მუშფაკში?

ვ. მ.—ძე.

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა № 197 წითელ-არმიელებს სამსახურის დროს შეუძლიათ იარონ მუშფაკში და უმაღლეს სასწავლებელში, თუ ეს სამსახურს არ ავნებს და ამაზე ნებართვას მიიღებს უფროსისაგან. სამსახურის გათავების შემდეგ კი წითელ-არმიელებს უპირატესობა ეძლევათ სასწავლებელში შესასვლელად.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. შანიძეს.** თქვენი კორესპონდენციები: „ჰაეროდრომის დათვალიერება" და „რა უნდა ვაკეთოდ სოფლად" არ დაიბეჭდება. ჰაეროდრომის დათვალიერება უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში, რაც შეეხება მეორეს ის განმეორებაა ყოველივე იმის, რაც დაიწერა გაზეთში.

**ამხ. ბურდულაძეს.** თქვენი წერილი კედლის გაზეთის მასალაა. მოათავსეთ იქ. არდაიბეჭდება.

**ამხ. ს. ფ—ლს.** „გვიხსენით ასეთი მორიგესაგან." არ დაიბეჭდება. მიმართეთ ლეგიონის უფროსს და ის გიხსნით მისგან.

**ამხ. ო—ას.** „ჩვენი მუშაობა" არ დაიბეჭდება. თქვენს წერილში მუშაობაზე თითქმის არაფერს სწერთ. მოგვაწოდეთ ხშირ-ხშირად კორესპონდენციები.

**ამხ. ვაშაძიძეს.** „ალღუმზე", მაგრამ ალღუმზე თუ რა გააკეთეთ ამის შესახებ არაფერს სწერთ არ გავა.

**ამხ. გ. კუკულაშვილს.** თქვენი ლექსი „წითელ მესანგრეებს", როგორც სათაურიდან სჩანს მიძღვნილია წითელმესანგრეებზე, მაგრამ შიგ კი მათ შესახებ არაფერს სწერთ. არ დაიბეჭდება. სწერეთ პატარ-პატარა კორესპონდენციები.

**ამხ. გოგიაშვილს.** თქვენი კორესპონდენცია „საყურადღებოდ" არ გავა. მოათავსეთ კედლის გაზეთში.

**ამხ. მეთვალყურეს.** „ასეთი მოქცევა დაუშვებელია" არ გავა. ამ ამხანაგს თავის საქციელი გადააგდებიეთ კედლის გაზეთის საშუალებით.

**ამხ. გულშემატკივარს და შხივანელს.** ხელმოუწერელ კორესპონდენციებს რედაქცია არ ბეჭდავს.

**ამხ. ახალციხელს.** მუზეუმის დათვალიერება თქვენი ლეგიონის მიერ იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი. მეორეჯერ არ გავა.

**ამხ. ჩაგელაშვილს.** „ჩვენ წინ მივდივართ." ამ თემაზე ბევრჯერ იყო ჩვენს გაზეთში წერილები. არ გავა. მოიწერეთ თუ არ არის ახალი თქვენთან.

**ამხ. კოცხიკივაძეს.** ჩვენ ვიცით, რომ ლეგიონში ბლომადაა წრეები. თქვენ მოიწერეთ, თუ როგორ მუშაობენ ეს წრეები.

**ამხ. ღრუბელს.** თქვენი კორესპონდენცია „რა საჭიროა ასეთი პირის გამოსწორება" არ გავა. ყოველი პიროვნების გამოსწორება სასურველია, თუ კი შეიძლება. ეცადეთ გამოასწოროთ ეს ამხანაგი.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ოცისთავის თანაშემწეს, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებს, ამხ. გიორგი ევტიხის ძე ფოცხიშვილს. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

მე-6 ლეგიონის მე-9 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ, მიღების შესახებ მე-7-ასეულის მამასახლის ამხ. გრიგორი ივანესძე რობაქიძეს, მცხოვრები სენაკის მაზრის, სოფელ შხეფის. თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6-ტერლეგიონის მე-3-ე ათასეულის მე-9-ე კომუჯრედში.

**დაკარგმე** დაზღვევის წიგნაკი, გაცემული შალვა სირაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.